განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ,,სასწავლო ცენტრი- მერმისი“

შეფასების თარიღები -----09.06.2022 -10.06.2022 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი ---17.06.2022 წელი

1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს ,,სასწავლო ცენტრი- მერმისი“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შპს |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 212702912 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი ქუთაისი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი ქუთაისი, გამზირი, ზ. გამსახურდიას I შესახვევი, N8 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი ქუთაისი, გამზირი, ზ. გამსახურდიას I შესახვევი, N8 |
| საფოსტო ინდექსი | 4600 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://mermisischool.edu.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | lali@mermisischool.edu.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 0431293010 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | ლალი აბაშიძე |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 595 69 67 65 |
| ელ-ფოსტა | info.mermisi@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის 2022 წლის 16 მაისის ბრძანება MES 8 22 0000492932 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2022 წელი; 09-10 ივნისი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | თეა გაბელაია |
| წევრი (სახელი, გვარი) | ლია გრიგოლია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | | | |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მონაწილეების შესაძლებლობით | | | |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | | | |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ზ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | | | |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | | | |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.2.* | ............... |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | სკოლა იყენებს საათობრივი ბადის მე-3 მოდელს , რომელიც ესგ. 56 -ე მუხლის შესაბამისად არ არის შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| | | სკოლას მიეცა რეკომენდაცია,  2022-2023 სასწავლო წლის სსგ -ს დამტკიცების დროს, ესგ. 56 -ე მუხლის შესაბამისად, საათობრივი ბადის მე-3 მოდელის |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | გამოყენების შემთხვევაში , საათობრივი ბადე შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.1.* | ............... |
| | *2.2.* | |
| | | |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი მოსწავლეების ოჯახების მიმართ ფინანსური მხარდაჭერა. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | **შპს ,,სასწავლო ცენტრი მერმისის“** მისიაა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა; ხელსაყრელი პირობების შექმნა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი, |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ტოლერანტი, პატრიოტი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის; მოზარდის გონებრივი , ემოციური, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება; მისცეს საჭირო ცოდნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად; ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | 2018 წლის მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მიცემული რეკომენდაციები:<br>ა) 1.2 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის ესგ-სთან შესაბამისობაში მოყვანას, სკოლას დაკმაყოფილებული აქვს.<br>ბ) 2.1 მუხლის ,,გ" პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სპორტში შერჩეული სახეობების ინვენტარის ფლობას, სკოლის მიერ გამოსწორებულია. ასევე 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად სპორტის სახეობა კარატე არ ისწავლება.<br>რეკომენდაცია 2.1 მუხლის ,,დ" პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ლაბორატორიებში ფლობის დოკუმენტის არ ქონას, სკოლას ამ ეტაპზე შეძენილი აქვს უახლესი რესურსები სტმ-ის ლაბორატორიისათვის და წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გ) 2.6 მუხლის ,,ა“ პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ევაკუაციის გეგმების, ცეცხლმაქრების, საევაკუაციო კიბის არ ქონას, სკოლის მიერ გამოსწორებულია და სკოლის ორივე შენობა აღჭურვილია საევაკუაციო გეგმებითა და ცეცხლამქრებით. ასევე სკოლის შენობაში დაწყებულია მიშენება საევაკუაციო კიბის. |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 200 | ექსპერტი ეთანხმება ☐ | **აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☒ | შპს ,,სასწავლო ცენტრ-მერმის“-ში ექსპერტთა ვიზიტის დროს მოსწავლეთა რაოდენობა იყო 97 მოსწავლე. სკოლას, თვითშეფასების კითხვარის შესაბამისად, განაცხადი გაკეთებული აქვს მოსწავლეთა გაზრდაზე, კერძოდ -200 მოსწავლეზე, თუმცა სკოლის ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მატერიალური რესურსი, კერძოდ მერხები და სკამები არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ რაოდენობას. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს აღმოჩნდა 191 მერხი და 191 სკამი. |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | სკოლამ ვიზიტის პერიოდში დააფიქსირა განაცხადი 180 მოსწავლეზე. |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **შპს ,,სასწავლო ცენტრი-მერმისი“** წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლაში სწავლობს 97 მოსწავლე და არის 12 ფინანსური კლასი. სკოლას შემუშავებული აქვს 2021-2022 სასწავლო |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ერთიანი დოკუმენტია, სარჩევით, დანომრილი ნაწილებით და დანართებით, შინაარსითა და სტრუქტურით ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისია, შემუშავებულია სკოლის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი. კერძოდ:<br>• სკოლის მისია;<br>• ზოგადი განათლების საფეხურები და მისია;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა სწავლების მიზნები;<br>• სასწავლო წლის კალენდარი;<br>• მოსწავლეთა რაოდენობა კლასში;<br>• სკოლის კულტურა;<br>• დამრიგებლისა და ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქციები;<br>• სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• გაკვეთილების ცხრილი;<br>• გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; საგანმანათლებლო რესურსები;<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვა;<br>• დამატებითი საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• ინკლუზიური განათლება;<br>• სავალდებულო და არჩევითი საგნები.<br><br>ექსპერტთა ვიზიტის დროს სასკოლო სასწავლო გეგმის თავფურცელზე სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ( ოქმი N1 2022 წ, 07.09) , სხდომის ოქმს ხელს აწერს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ( სკოლის დირექტორი). სკოლის წესდების თანახმად სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სასწავლო გეგმის თავფურცელში მოცემული შუსაბამობა სკოლის წესდებასთან გასწორდა (დირეტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი).<br>დამადსტურებელი დოკუმენტი ექსპერტებს მოეწოდა ვიზიტის პერიოდში და პროექტს თან ერთვის.. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ,,სასწავლო ცენტრი მერმისის“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შპს ,,სასწავლო ცენტრი მერმისის“ შინაგანაწესი;<br>• შპს ,,სასწავლო ცენტრი მერმისის“ წესდება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან . |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი ისწავლება განსხვავებული საათობრივი სქემით, კერძოდ, „სავალდებულო საგნების სიიდან ინგლისური ენის სწავლების საათები ყველა კლასში გაზრდილია 5 საათამდე. III- კლასიდან შემოტანილია რუსული ენის სწავლება. V-IX კლასის მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია რუსულის სწავლება წრის სახით. VII-X კლასის მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია კლუბის მუშაობა საგანში „მოქალაქეობა“. VI,VII და XII კლასში მათემატიკისათვის დამატებულია 1 აკადემიური საათი. თითოეულ საგანში დამატებული საათი ემსახურება საგნის სიღრმისეულ შესწავლას“ ( სასკოლო სასწავლო გეგმა გვ. 27,).<br>მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა რამდენიმე ჩანაწერი, კერძოდ, „V-IX კლასის მოსწავლეებისათვის შეთავაზებულია რუსულის სწავლება წრის სახით“ - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გულისხმობს, რომ მოსწავლეები სავალდებულო გაკვეთილების გარდა რუსულის ენის წრეშიც არიან გაერთიანებული და სამოქალაქო განათლების სავალდებულო გაკვეთილების გარდა ისინი გაერთიანებულნი არიან სამოქალაქო განათლების კლუბში. წარმოდგენილი საგაკვეთილო ცხრილის ანალიზმა აჩვენა, რომ საათობრივ ბადეში I-VI კლასებში შეტანილი საგანი “ცეკვა“ არარის სავალდებულო ხასიათის და ის წრის მუშაობას გულისხმობს. პირველ კლასში არ ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი- „ ისტ“, მისი სწავლება იწყება მეორე კლასიდან. I-VI კლასში „ისტ“ ისწავლება 1 საათი. III-IV კლასში საგანს-„ მე და საზოგადოება“ დათმობილი აქვს 1/1 საათი. გაწერილი გეგმის შესაბამისად, საფეხურის ფარგლებში მოსწავლეები, აღნიშნულ საგნებში აღწევენ სტანდარტით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს. სპორტი I-IV კლასში ისწავლება 4/3 პრინციპით, ხოლო V-კლასში საათების რაოდენობა სასწავლო გეგმის შესაბამისია. აღნიშნული ცვლილები ცვლის I-VI კვირეულ საათობრივ დატვირთვას, პირველ კლასში კვირეული დატვირთვა ესგ გათვალისწინებული 21/22 საათის ნაცვლად არის 28/27 საათი, მეორე კლასში - 23/23 საათის ნაცვლად 29/28 საათი. მესამე კლასში- 25/25 საათის ნაცვლად 30/31 საათი, IV კლასი ესგ გათვალისწინებული 25/25/ საათის ნაცლად არის 31/30 საათი, მეხუთე კლასში ნაცლად 28/28 საათისა შეადგენს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 34/33, მეექვსე კლასში ნაცვლად 28/28/ საათისა შეადგენს 33/33 საათს. მშობლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მშობლები ეთანხმებიან აღნიშნულ დატვირთვას, გაკვეთილებს შორის შესვენება 10 წთ-ია, 6 გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეებს აქვთ სრულფასოვანი დასვენება სრულფასოვანი კვებით (45 წთ). კვებას უზრუნველყოფს სკოლის ბუფეტი და შედის სკოლის გადასახადში.<br>ცვლილებებია ასევე VII – XII კლასების საათობრივ ბადეში, კერძოდ ყველა კლასში მათემატიკის სწავლებას დამატებული აქვს 1 საათი , პირველი უცხო ენა 5 საათი ისწავლება ყველა კლასში, გარდა მე-10 კლასისა, სადაც ინგლისურ ენას დათმობილი აქვს 6/6 საათი, მესამე უცხო ენა ისწავლება VII-IX კასებში 3/3/ საათიანი დატვირთვით. სამოქალაქო განათლებას მე-7 კლასში 2/2 საათის ნაცვლად დათმობილი აქვს1/1 საათი, ასევე ბიოლოგია XI კლასში 2/2 საათის ნაცვლად ისწავლება 1/1 საათი. VII-IX კლასში ხელოვნება და მუსიკა ისწავლება 1/1.<br>აღნიშნული ცვლილებები გაწერილია თემატურ გეგმებში . თემატური გეგმის ფორმა მოიცავს შემდეგ გრაფებს: თემის სათაური, ესგ მისაღწევი შედეგი, სწავლის შედეგი, რესურსი და შეფასება. ხშირ შემთხვევაში მისაღწევი შედეგი და შეფასების შერჩეული ფორმა შესაბამისია.<br>სკოლა იყენებს საათობრივი ბადის მე-3 მოდელს , რომელიც ესგ. 56 -ე მუხლის შესაბამისად არ არის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br>აღნიშნული სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაციაა, 2022-2023 სასწავლო წლის სსგ -ს დამტკიცების დროს , ესგ. 56 -ე მუხლის შესაბამისად, საათობრივი ბადის მე-3 მოდელის გამოყენების შემთხვევაში , საათობრივი ბადე შეათანხმოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br>მასწავლებლები სწავლის შედეგის მიღწევას აფასებენ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებებით, შემუშავებული შემაჯამებელი დავალებების ფორმაც: დავალება, დავალების ფარგლებში მისაღწევი შედეგები ესგ-დან, შეფასების რუბრიკა. მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს მასწავლებლის ანგარიშისა და შეფასების სქემების ანალიზის მიხედვით იხილავენ კათედრაზე და სახავენ გაუმჯობესების მექანიზმებს.<br>სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სასწავლო საჭიროებების დადგენის მიზნით სკოლის ხარისხის მენეჯერი პერიოდულად ატარებს კვლევებს კითხვარების საშუალებით დგინდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებები, საჭირო რესურსების ნუსხა. კვლევის შედეგები განიხილება პედსაბჭოზე.<br>სკოლა მერმისს სასკოლო საზოგადოებისთვის მიმზიდველს ხდის ისიც, რომ სკოლას აქვს აუზი, სპორტის სახეობებიდან სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | VII-XII კლასში - ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთს, I-XII კლასში ცურვას.<br>სკოლაში ისწავლება შემდეგი არჩევითი საგნები: მე-10-მე-11 კლასებში - მეწარმეობის საფუძვლები სახელმწიფო და ეკონომიკა1/1 საათი, ხოლო მე-12 კლასში -ხაზვა.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მოსწავლეებს მიღონ ესგ გათვალისწინებული ცოდნა და განივითარონ უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლების მიერ დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებები;<br>• შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;<br>• კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმები;<br>• მასწავლებლების, დამრიგებლებისა და სასწავლო პროცესში ჩართული სკოლის პერსონალის ანგარიშები; საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; მოსწავლეთა დახასიათების ნიმუშები;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ გაკვეთილებს. კლასის დამრიგებელი ხელს უწყობს მასწავლებლებს დაადგინონ მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებები და გაკვეთილები დაგეგმონ მათი ინტერესების შესაბამისად. დამრიგებლები მუდმივად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას საკუთარი შვილების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და იღებენ რეკომენდაციებს ამ მიზნით.<br>სკოლას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია თუ როგორი მოსწავლე ითვლება სსსმ მოსწავლედ, ინდივიდუალური გეგმის მახასიათებლები, ისგ-ს შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები, სსსმ მოსწავლის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. აღნიშნული გარემოებები ხელს უწყობენ სკოლას უზრუნველყონ მოსწავლე სწავლის თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით.<br>ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია.<br>ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• სასწავლო პროცესის დაგეგმვის დოკუმენტები;<br>• ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;<br>• ისგ ჯგუფის სხდომების ოქმები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სსსმ მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების, აგრეთვე, აკადემიური მიღწევების შეფასების მაგალითებს;<br>• სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის ანგარიშები; წლის მანძილზე გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი; კათედრების სამუშაო გეგმები და ანგარიშები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა შეფასებაის ნაწილში აღწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები და პრინციპები, განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასება კლასში, აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა, შეფასება დაწყებით საფეხურზე, მოსწავლეების შეფასების კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, აღნიშნული მუხლების |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შინაარსი სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან,, შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათ ქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი-ყველაზე დაბალი. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სამივე კომპონენტს აქვს ერთნაირი წონა. სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი სქემები საფეხურების, საგნების და კომპონენტების მიხედვით. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესი და ვადები. შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილი აქვთ როგორც ტესტური (ღია და დახურული შეკითვებით) ასევე კომპლექსური დავალებები, ესეები, პრეზენტაციები და სხვა. 2021-2022 სასწავლო წლისთვის სასკოლო გემის მე-5 პუნქტის თანახმად შპს ,,სასწავლო ცენტრი-მერმისში" კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერია 5,0 ქულა დამრგვალების შემდეგ". მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკები, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის (საკლასო ოთახებში გაკრულია შეფასების რუბრიკები). დავალებებთან ერთად მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკას და იხილავენ მათთან ერთად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით; |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები;<br>• განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის მოსწავლეებისა და მშობლებისათვის გაცნობის წესები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა აღიარებს მშობელთა აქტიური ჩართულობის დადებით გავლენას სკოლის ცხოვრებაზე, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე და ზოგადად სკოლის შემდგომ განვითარებაზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. ამ მიზნებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესი, რომლის მიზანია მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მასწავლებლის/დამრიგებლის მოვალეობებში შედის მშობლებთან ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობაზე დამყარებული ურთიერთობების შექმნა, სათანადო დროის გამოყოფა მშობლებთან კომუნიკაციისათვის, მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ემოციურ და ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროული მიწოდება, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა და მათი სასარგებლო ინიციატივების წახალისება, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ნაწილების გაცნობა. სკოლა აღიარებს მშობელთა აქტიური ჩართულობის დადებით გავლენას სკოლის ცხოვრებაზე, მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე და ზოგადად სკოლის შემდგომ განვითარებაზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან. ამ მიზნებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესი, რომლის მიზანია მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე.<br>სკოლაში საჭიროების მიხედვით იმართება მშობელთა კრებები. დამრიგებელს აქვს ვალდებულება მშობელს ინდივიდუალურად მიაწოდოს საკუთარი შვილის წარმატების შესახებ ინფორმაცია.<br>მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების ფორმებია სატელეფონო ზარი, ელექტრონული ფოსტა, წერილი, სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერა, sms შეტყობინება. მშობელთა ინფორმირების მიზნით გამოიყენება ასევე მშობელთა კრებები (მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით) და ელექტრონული ჟურნალი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მშობლებთან ყოველდღიური კომუნიკაცია მყარდება ელექტრონული ჟურნალის „school book“-ის დახმარებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესით;<br>• მოსწავლეებთან, მშობლებთან ინტერვიუებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სასწავლო ცენტრი მერმისს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დოკუმენტი არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს, რომელიც აერთიანებს ამ მიზნით სკოლაში დასაქმებული პირების, პროცედურების, შეფასების სფეროების, პერიოდულობის და ანგარიშგების შესახებ ინფორმაციას. დოკუმენტის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა შპს სასწავლო ცენტრ - მერმისში.<br>ხარისხის მართვის მენეჯერი მუდმივად აკვირდება სასწავლო პროცესს და ადგენს: სწავლის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან შესაბამისობას, მოსწავლეთა მიღწევების და შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების სასწავლო აქტივობასთან შესაბამისობას, სწავლების ფორმატისა და მეთოდების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. ასევე მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სწავლების პროცესი და მისი საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა, საგაკვეთილო ცხრილის რაციონალურობა, სწავლების მეთოდებისა და ფორმატის მიზნობრიობა, სწავლების მიზნების, სასწავლო პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების თანხვედრა, ხდება მოსწავლეთა მიღწევების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ანალიზი და მიღებული შედეგების მიხედვით ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლა პერიოდულად ატარებს სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლების, მოსწავლეების , მშობლების გამოკითხვას. კვლევის ანალიზის შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლსაც წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად. ამრიგად, სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და განვითარებას განიხილავს მთლიანად სკოლის ხარისხის განვითარების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად და ამ მიმართულებით ნამდვილად გაწერილია მთელი რიგი აქტივობები: კერძოდ, პედაგოგები, დამრიგებლები, ანგარიშს წარადგენენ დირექციაში სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის, ხარისხის მართვის მენეჯერთან და კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, სკოლის მისიის შესაბამისად, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად განსაზღვრავენ სასწავლო წლის კალენდარს, გაკვეთილების და შესვენებების ხანგრძლივობას კლასების მიხედვით, სასკოლო საათობრივ ბადეს. სკოლისთვის ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას, მათ შორის: პროგრამებისა და მიმდინარე სასწავლო პროცესის სისტემატურ გადახედვას, შეფასებას, მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით მოწმდება სწავლების ფორმატისა და მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სწავლების პროცესი და მისი საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა, საგაკვეთილო ცხრილის რაციონალურობა, სწავლების მეთოდებისა და ფორმატის მიზნობრიობა, სწავლების მიზნების, სასწავლო პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების თანხვედრა, სასწავლო რესურსებისა მოსწავლეთა მიღწევების შეფასების გამჭვირვალობა. სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. ხდება კვლევის შედეგების ანალიზი და ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის მართვის სამსახურის, კათედრების მიერ, რომელიც განსახილველად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ სკოლის დირექტორთან, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან.<br>• კათედრების საქაღალდეებით;<br>• ხარისხის მართვის მენეჯერის საქაღალდით;<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **შპს ,,სასწავლო ცენტრი-მერმისი“** ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზირზე ( I შესახვევი, N8 ) მდებარე შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლის სარგებლობაში არის ორი შენობა:<br>**1.შენობა N1** -საკადასტრო კოდი : 03.04.26.459<br>✓ შენობის დაზუსტებული ფართი-437.00 კვ.მ.<br>✓ შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა N1 - I სართული 321.81 კვ.მ. ანტრესოლი 122.35 კვ.მ. II სართული 287.18 კვ.მ.<br>**2. შენობა N2** -საკადასტრო კოდი : 03.04.26.206-01.500<br>✓ შენობის დაზუსტებული ფართი-437.00 კვ.მ.<br>✓ შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: 1068.25კვ.მ<br>სკოლის ორივე შენობა არის ორ სართულიანი და ასევე სკოლის ორივე შენობას აქვს მანსარდი და ანტრესოლი. სკოლა ორივე შენობის სართულებს, მანსარდითა და ანტრესოლით, იყენებს სასწავლო პროცესისათვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი ქუთაისი, გამზირი, ზ. გამსახურდიას I შესახვევი, N8 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 1. საკადასტრო კოდი: 03.04.26.459;<br>2. საკადასტრო კოდი: 03.04.26.206-01.500; |
| *კვ.მ.* | 437 კვ.მ და 645 კვ.მ; სულ 1082 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;<br>• შიდა აზომვითი ნახაზი<br>• ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,სასწავლო ცენტრი-მერმისის“ პირველ შენობაში არის 12 მოქმედი საკლასო ოთახი და სამი დამხმარე კლასი. საკლასო ოთახების საშუალო ფართობი შეადგენს 21.13 კვ.მს. პირველ შენობაში განთავსებულია ასევე ერთი კომპიუტერული ლაბორატორია, ბიოლოგიის ლაბორატორია, ერთი ფიზიკის ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამასწავლებლო, საპირფარეშოები ორივე სართულზე (გოგო/ბიჭი).<br>საკლასო და დამხმარე ოთახებში განთავსებულია 191 მერხი (ერთადგილიანია) და 191 სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს რაოდენობა საკმარისზე მეტიცაა მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. ვიზიტის დროისთვის სკოლაში ირიცხებოდა 97 მოსწავლე. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, პროექტორებით, რუკებით, ცხრილებით, შეფასების რუბრიკებით, მოსწავლეთა საპრეზენტაციო ნამუშევრებით, ჰიგიენის დაცვის წესებით. სკოლის ფოიეში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და სხვადასხვა დაწესებულების ცხელი ხაზის ნომრები. ასევე ფოიეში გამოკრულია მოსწავლეთა ნახატები, სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი ფოტომასალა და ნამუშევრები.<br>მეორე შენობის პირევლ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი. სკოლა სპორტულ დარბაზს იყენებს სააქტო დარბაზად ღონისძიებების დროს, ასევე სპორტულ დარბაზში საგაკვითილო ცხრილის შესაბამისად ტარდება ცეკვის გაკვეთილები და ცეკვის წრის მეცადინეობები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას აქვს ორი საცურაო აუზი. 184 კვ.მ და 74 კვ.მ ოდენობის, რომელსაც სკოლა იყენეს სპორტის გაკვეთილებზე საგაკვეთილო ცხრილის შებამისად და ცურვის წრეზე მეცადინეობების დროს, ასაკობრივი განსხვავებებით. სკოლის მეორე შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ბუფეტი ( სასადილო ოთახი ) 7 (4 ადგილიანი) მაგიდითა და 24 სკამით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შიდა-აზომვითი ნახაზით;<br>• ანგარიშ-ფაქტურებით;<br>• მერხებისა და სკამების შეძენის დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,სასწავლო ცენტრ- მერმისის" მეორე შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი და ორი საცურაო აუზი. სპორტული დარბაზი აღჭურვილია სპორტული ინვენტარით: ორი ჩოგბურთის მაგიდით, 4 ჩოგანით, 10 ცალი ბურთით, 2 ბადით, 6 ცალი ფეხბურთის ბურთით, 4 კალათბურთის ბურთითა (სკოლა ხშირად იყენებს სკოლის მიმდებარედ არსებულ სპორტულ მოედანს ფეხბურთისა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და კალათბურთის სათამაშოდ არასაგაკვეთილო პერიოდში) და 8 ჭადრაკის დაფით, რომელსაც სკოლა იყენებს საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. სკოლა სპორტულ დარბაზს იყენებს სააქტო დარბაზად ღონისძიებების დროს. ასევე სპორტულ დარბაზში საგაკვითილო ცხრილის შესაბამისად ტარდება ცეკვის გაკვეთილები და ცეკვის წრის მეცადინეობები განრიგის მიხედვით.<br>სკოლას აქვს ორი საცურაო აუზი. 184 კვ.მ და 74 კვ.მ ოდენობის, რომელსაც სკოლა იყენეს სპორტის გაკვეთილებზე საგაკვეთილო ცხრილის შებამისად და ცურვის წრეზე მეცადინეობების დროს, ასაკობრივი განსხვავებებით. საცურაო აუზი უზრუნველყოფილია საზღვაო ინვენტარით: საცურაო ჟილეტებით, კამერებით, საცურაო ბალიშებითა და ქუდებით.<br>შპს ,,სასწავლო ცენტრ- მერმისის“ ორივე საცურაო აუზს აქვს შესაბამისი გასახდელი და საშხაპე სივრცეები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დირექტორთან და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებით.;<br>• სპორტული და საზღვაო ინვენტარის შეძენის დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,სასწავლო ცენტრ-მერმისის" პირველ შენობაში განთავსებული ერთი ქიმია/ ბიოლოგიის ლაბორატორია და ერთი ფიზიკის ლაბორატორია. სკოლის სტემ ლაბორატორიებში კედლებზე გამოკრულია თვალსაჩინოებები, დახურულ კარადებსა და თაროებზე განთავსებულია მიკროსკოპი, სინჯარები, კოლბები, მულაჟები, ქიმიური რეაქტივები და სხვა. სკოლას ლაბორატორიებისათვის შეძენილი აქვს ცდების ჩასატარებელი თანამედროვე ტიპის, უახლესი ხელსაწყოების ორი კომპლექტი, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ აქტიურად სტემის პრაქტიკული სამუშაოების დროს. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით და ხელსაბანი ნიჟარით. გარდა ამისა, შესაძლებელია მისი ბუნებრივი განიავებაც ფანჯრების საშუალებით. ამ ოთახში ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;<br>• გასაუბრება სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება საქალაქო ქსელიდან. სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება ,,სოკარ ჯორჯია გაზიდან“, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან და ,,ეპე ჯორჯია“-დან. საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის საშუალებით. შენობაში მოწყობილია გოგონების, ბიჭების, შშმ მოსწავლისა და მასწავლებლის სველი წერტილები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით |
|---|





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „სასწავლო ცენტრი -მერმისის“ სტუქტურული ერთეულია ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზთან ერთდ და სკოლის მეორე სართულზეა განთავსებული.<br>ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო განრიგი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 11 მაგიდა და 11 სკამი. ბიბლიოთეკაში არის ერთი ლეპტოპი და ერთი კომპიუტერი, რომელსაც მიეწოდება ინტერნეტი და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. ასევე ბიბლიოთეკაში განთავსებულია მუსიკალური ცენტრი დინამიკებით. კედლებზე გამოკრულია სხვადასხვა ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტო მასალა და თავსაჩინოებები. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური კატალოგი. საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში განთვსებულია 1512 ერთეული კლასგარეშე ლიტერატურის წიგნადი ფონდი, რომელშიც შედის მხატვრული ლიტერატურა და მეთოდური ლიტერატურა. ასევე ბიბლიოთეკაში განთავსაებულია 1074 ერთეული სასწავლო სახელმძღვანელო სხვასხვა წლების. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია კლასების მიხედვით გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების თითო-თითო ეგზემპლარი. ბიბლიოთეკის წიგნადიფონდი დამუშავებულია |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საბიბლიოთეკო წესით. წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები მინიჭებული აქვს. წიგნების გატანა/ მოტანა აღირიცხება მკითხველთა ფორმულარებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• საინვენტარო წიგნი;<br>• წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის გარეთ კიბეებზე არის პანდუსი. სკოლის შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ პირებისთვის.<br>შპს „მერმისს“ ამ ეტაპზე სსსმ/შშმ მოსწავლე არ ჰყავს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება<br>სკოლის დირექტორთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მფლობელობაშია 13 კომპიუტერი. მათ შორის 9 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, 1 ბიბლიოთეკაში, 1 სამასწავლებლოში და 2 კომპიუტერი გამოიყენება ადმინისტრაციული დანიშნულებით. თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. გარდა კომპიუტერებისა სკოლას აქვს 2 პროექტორი, რომელიც აქტიურად გამოიყენება სხვადსხვა აქტივობებისა და პრეზენტაციებისათვის. ასევე სკოლას აქვს 2 პრინტერი. ერთი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, 1 ადმინისტრაციაში და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.<br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი-http://mermisischool.edu.ge/ და სოციალური ქსელი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად და კომუნიკაციისათვის. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება სილქნეტიდან. |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ანგარიშფაქტურებით;<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით;<br>• ვებ ვერდის დომენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, თუმცა ცეცხლმაქრები არ იყო სტანდარტისა და ევაკუაციის გეგმის შესაბამისი რაოდენობების. ვიზიტის პერიოდში ევაკუაციის გეგმის შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია 3 ცეცხლამქრის დამატების სართულებზე და 1 ცალის კიბის უჯრედებში, რაც ვიზიტის პერიოდშივე იქნა დამონტაჟებული. ამ ეტაპზე სკოლაში დამონტაჟებულია 14 ცეცხლმაქრი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დირექტორთან გასაუბრებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ორივე შენობის სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმებზე მითითებულია ხანძრის შემთხვევაში მოქმედებათა თანმიმდევრობა: დარეკვა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, ხანძრის მისამართის დასახელება, ინფორმატორის გვარისა და სახელის გაცნობა, პერსონალის ევაკუაცია და დაზარალებულების დახმარება, სახანძრო ინვენტარის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში ელექტროენერგიის გათიშვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექთანი. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულებით გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - სამედიცინო კარადით მედიკამენტებისთვის, სამედიცინო ტახტით, ექიმის მაგიდით. სკოლის ექთანი აწარმოებს ჩანაწერების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წიგნს, რომელშიც აღნიშნულია ვინ, როდის რა ჩივილით მიმართ და რა დახმარება გაეწია. ექთანის მოვალეობები გაწერილია მის ხელშეკრულებაში. გარდა ამისა ექთანი და დირექტორი ატყობინებენ მშობელს ყოველ საგანგებო სიტუაციას და მოქმედებენ კორდინირებულად. 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცდა სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის (50 დან 100-ის ჩათვლით 1 ექიმი - კადრის არარსებობისას ერთი ექიმი შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით) სკოლას ესაჭიოება ერთი ექიმი ან ექთანი. სკოლას კონკურსის გარეშე აყვანილი ჰყავდა ექთანი, რომელიც არ აკმაყოფილებდა კანონის შესაბამის მოთხოვნებს, რადგან ის იყო სტუდენტი, არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია და ასევე პერიოდულად, როც ის სკოლაში უნდა ყოფილიყო უწევდა უნივერსიტეტში ჰყოფნა.<br>ვიზიტის პერიოდში აღნიშნული სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომელიც სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა და გამოაცხადა ექიმის ვაკანსია შესაბამისი წესით (ვიზიტის პერიოდში გამოგზავნილია ვაკანსიის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც პროექტს თან ერთვის) და სკოლა სასწავლო წლის დაწყებისათვის ეცდება დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ჩანაწერების წიგნით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ექთანის ხელშეკრულებით;<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები, სკოლის კარისკაცი. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი. სკოლაში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია. ასევე სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია მიმართულებების ნიშნები, რომელიც ეხმარება სასკოლო საზოგადოებას მოწესრიგებულად გადაადგილებაში. სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შესათანხმებლად გაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოადგინა შესაბამისი წერილი შეთახმებასთან დაკავშირებით, რომელიც პროექტს თან ერთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „მერმისის“ სკოლის „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შეფასების მიმდინარეობისას ვერ ხდებოდა სკოლის შენობების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სრული კონტროლი, კერძოდ, ვიზიტის პერიოდში სკოლა კონტროლდებოდა 13 ვიდეო კამერით, 8 შიდა კამერა და 5 გარე კამერა. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად, სკოლის შენობის მეორე სართულის შიდა სივრცის დერეფნის ვიდეოდათვალიერების მიზნით, სკოლამ დამატებით დაამონტაჟა 1 კამერა. ამ ეტაპზე სკოლაში დაონტაჟებულია სულ 14 ვიდეოსათვალთავლო კამერა. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება- ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას ეფექტურად ფუნქციონირებისათვის შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სკოლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია, ,სკოლის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება. სკოლის წესდებით განსაზღვრულია: სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ორგანოების, დამფუძნებელთა საბჭოს უფლებამოსილება, სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექციის უფლება/მოვალეობები, სკოლის პედაგოგიური საჭოს უფლება/მოვალეობები, მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება/მოვალეობები, დისციპლინარული კომიტეტის შექმნის წესი, სკოლის ქონების, დაფინანსების, ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წესი, სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი, რის საფუძველზეც არის შექმნილი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდებით;<br>• შინაგანაწესით;<br>• სკოლის სამსახურეობრივი ინსტრუქციით;<br>• ბიბლიოთეკის დებულებით;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები. 2022-2028 წლების 6 წლიან გეგმაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესება, სკოლაში დასაქმებულ პირთა |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება, სკოლის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება, სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება.<br>თითოეული მიზანი გაწერილია ვადებში და მინიშნებულია პასუხისმგებელი პირები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან. თითოეული სტრატეგიულიმიზნისა და ამოცანის შესაბამისი აქტივობები გაწერილია ერთი წლის კალენდარში, ასევე ჩაშლილია პასუხისმგებელი პირებიც. სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი, სადაც განხილულია სკოლის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარე, საფრთხეები, შესაძლებლობები, რის საფუძველზეც შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • SWOT ანალიზი;<br>• 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების ერთიანი წესები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. წესში გაწერილია შემდეგი საკითხები:<br>• შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნა;<br>• დოკუმენტების აღრიცხვა, მოძრაობა და გაფორმება;<br>• დოკუმენტების შედგენა, გაფორმება და გაგზავნა;<br>• ოქმების გაფორმება და რეგისტრაცია;<br>• შემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნა;<br>• გასული კორესპონდენციების აღრიცხვა;<br>• ბრძანებების რეგისტრაცია;<br>• ხელშეკრულების აღრიცხვა;<br>• სხდომების ოქმების რეგისტრაცი;<br>• არქივი;<br>• სკოლაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების ორგანიზება;<br>დოკუმენტაციის შესწავლის დროს შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებულ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია და სარეგისტრაციო ჟურნალები, რის შედეგადაც დადასტურდა არსებული წესებისა და წარმოებული დოკუმენტაციის თანხვედრა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სარეგისტრაციო ჟურნალებით;<br>• ბრძანებებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში, 2021-2022 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 31 პედაგოგი, მათ შორის 17 უფროსი მასწავლებელი, ხოლო 14 მასწავლებელი არის უსტატუსო, რომლებთანაც დადებულია ხელშეკრულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება N174/ნ -ის მე-13 მუხლის შესაბამისად. სკოლის შეფასების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ 17 უფროს მესწავლებელს ხელშეკრულების მუხლში ,,ხელშეკრულების საგანი“ არ ეწერათ მინიჭებული სტატუსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად ხელშეკრულებები მოყვანილი იქნა კანონშესაბამისობაში და ვიზიტის პერიოდში ზემოაღნიშნულ უფროს მასწავლებლებთან დადებული იქნა ახალი ხელშეკრულებები (ხელშეკრულებები პროექტს თან ერთვის), სადაც ხელშეკრულების მუხლში ,,ხელშეკრულების საგანი“ ჩაეწერათ მინიჭებული სტატუსი.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, სამეურნეო სამსახურის მენეჯერი. სკოლას ჰყავს დარაჯი-2, დამლაგებელი-2, დამხმარე მუშა-1.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია დებულებაში. მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.<br>სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჯამში ჰყავს 45 თანამშრომელი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხელშეკრულებები და პირადი საქმეებით;<br>• Eschool ბაზით;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულებით;<br>• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე;<br>• საშტატო განრიგი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 31 |
| მოწვეული/მაძიებელი | 0 |
| პრაქტიკოსი მასწავლებელი | 14 (უსტატუსო) |
| უფროსი მასწავლებლის | 17 |
| წამყვანი მასწავლებელი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად. შერჩევის პროცესში მასწავლებლებს მოეთხოვებათ დოკუმენტების პირობების გაცნობა. სკოლაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | 14 უსტატუსო მასწავლებელს აქვს განსხვავებული პირობადადებული ხელშეკრულებება, რომლის საფუძველზეც მასწავლებლებს ვალდებულება აქვთ ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის ვადაში დარეგისტრირდნენ და ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესით;<br>• საკონკურსო კომისიის სხდომების ოქმებით;<br>• http://teacherjobs.ge/ -ის პლათფორმაზე გამოცხადებული კონკურსების მასალებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,სასწავლო ცენტრ-მერმისში“ მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილია მასწავლებელთა შერჩევის წესი , სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება შიდა და ღია კონკურსის გზით საქართველოს განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. შინაგანაწესში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაწერილია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. ასევე განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები.<br>შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომლების წახალისების ფორმებს. ასევე შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს.<br>შინაგანაწესით გათვალისწინებულია მასწავლებლის და თანამშრომლის მიღების წესი.<br>განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესით;<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და მიღების წესი. თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. საშტატო განრიგის შესაბამისად სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებები. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის ცნობილია ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალში საქმისწარმოების წესის თანახმად. შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.<br>სკოლის შეფასების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ 17 უფროს მესწავლებელს ხელშეკრულების მუხლში ,,ხელშეკრულების საგანი“ არ ეწერათ მინიჭებული სტატუსი.<br>ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძვლეზე უფროსი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანსში ასახული იქნა მათი სტატუსი, კერძოდ ექსპერტთა ვიზიტის დროს ხელშეკრულებები მოყვანილი იქნა კანონშესაბამისობაში და ვიზიტის პერიოდში ზემოაღნიშნულ უფროს მასწავლებლებთან დადებული იქნა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ახალი ხელშეკრულებები (ხელშეკრულებები პროექტს თან ერთვის), სადაც ხელშეკრულების მუხლში ,,ხელშეკრულების საგანი" ჩაეწერათ მინიჭებული სტატუსი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;<br>• სკოლის შინაგანაწესით;<br>• პირადი საქმეებით;<br>• სკოლის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ..სასწავლო ცენტრი მერმისს" გააზრებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პირდაპირი გავლენა სწავლება/სწავლის ხარისხზე და შესაბამისად, მისთვის მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, სოციალიზაცია, შეფასება, მოტივირება, პროფესიული განვითარება და შენარჩუნება. სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა დაფუძნებულია პერსონალის ძირითადი საჭიროებების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განსაზღვრასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.<br>ადამიანური რესურსის მიზნობრივი და პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახდენს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას კვლევების საფუძველზე, კერძოდ მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების დროს მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და მართულ პროცესს აფასებენ სხვადასხვა მიმართულებით. ესენია: გაკვეთილის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, გამოყენებული სწავლების სტარტეგიებისა და მეთოდების შესაბამისობა გაკვეთილის მიზნებთან, მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პორცესში, კლასის მართვას, შეფასების სისტემის ეფექტიან გამოყენებას, გაკვეთილის მიზნების ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევამ გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესს მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით სკოლა იღებს ვალდებულებას რომ უზრუნველყოს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება მათი პროფესიული განვითარების მიზნით.<br>სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. |





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამსახურის მიზანია სკოლაში სასწავლო მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და<br>შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.<br>გასაუბრების დროს პედაგოგები აქტიურად საუბრობდნენ სკოლის ფარგლებში თანამშრომლობაზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სკოლაში ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.<br>სკოლა ასევე ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სკოლაში დასაქმებულ სხვა პირების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, რომელიც გაითვალისწინებული იქნება  მომავალი წლის ერთწლიანი  სამოქმედო გეგმის შემუშავების  დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლითა პორტფოლიოები;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.<br>• დირექტორთან ინტერვიუ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐  ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წევრები ინტერვიურიებისას (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, ტექპერსონალი, მოსწავლეები, მშობლები) აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი, მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემო. როგორც მოსწავლეები ასევე მასწავლებლი განმარტავენ რამდენად თბილ გარემოში უწევთ თანამშრომლობა, თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.მათი ნებისმიერი ინიციატივა ხელშეწყობილია ადმინისტრაციის მხრიდან. იგრძნობა, რომ თითოელი წევრი მნიშვნელოვანი რგოლია საგანმანათლებლო პროცესში.<br>გასაუბრების დროს მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ სხვა და სხვა ინიციატივა, რომლებიც ძირითადად მხარდაჭერილია. მათი ინიციატივით საინტერესო პროექტები განხორციელდა სკოლაში.<br>სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ინტერესდება სასკოლო საზოგადოების კმაყოფილებით და სასკოლო კლიმატით, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მოსწავლეების მიერ განხორციელებული აქტივობებით;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>• ინტერვიუ მშობლებთან;<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• Facebook გვერდი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:

1. ფოტოსურათი -1;
2. დოკუმენტაცია - 6.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ქუთაისი 17.06.2022 წელი

გვერდების რაოდენობა - 67 გვერდი.

67



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.